



# შეწყვიტეთ

## ძალადობა

## ქალების

## მიმართ

PX 4768/1 1ც50ე

ი24/644



ბუკლეტი მომზადდა და გამოიცა
კახეთის ბოშათა გაერთიანება
"რომას" მიერ, ორგანიზაცია
განიარაღება და არაძალადობის
პარტნიორობით, ქალთა ფონდი
საქართველოში ფინანსური
მხარდაჭერით.

555 39 28 06

კახეთის ბოშათა გაერთიანება
"რომა"

...ული ბიბლიოთეკა

# ქალთა უფლებები



ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN' S FUND IN GEORGIA

განიარაღება და არაძალადობა
*Disarmament and nonviolence*

თბილისი 2012

## გენდერული თანასწორობა საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებისა და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

## ქალების უფლებების და ჟანმრთელობა საქართველოს კონსიტუტცია მუხლი 37

1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული პირობებით უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

## მეუღლეთა იფლებები საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 36

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივს თანსწორობას და ნებაყოფლობას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.
3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

## ოჯახში ძალადობა კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ მუხლი 3 ოჯახში ძალადობა

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიხერ მეორის კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

მუხლი 4 კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

**ა) ფიზიკური ძალადობა:** ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

**ბ) ფსიქოლოგიური ძალადობა:** შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს;

**გ) ეკონომიკური ძალადობა:** ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებით შეზღუდვას;

**დ) სექსუალური ძალადობა:** სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ;

**ე) იძულება:** ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ანდა რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

**ვ) მსხვერპლი** არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა ან იძულება.

**ზ) მოძალადე** არის ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახის სხვა წევრის მიმართ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ახორციელებს

**თ) ოჯახის** წევრის ცნებას, მხოლოდ [illegible] მხოლოდ კანონის მიზნებისათვის, [illegible] გაფართოებულია. ოჯახის წევრად ითვლება: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, აგრეთვე ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტები და დოკუმენტები

**"გაეროს კონვენცია ქალის პოლიტიკური უფლებების შესახებ"** -კონვენციის მთავარი მიზანია უზრუნველყოს ქალისა და მამაკაცის პოლიტიკაში თანაბარი მონაწილეობის უფლება.

**"შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია"** -მოიცავს სოციალური და შრომის საკითხების ფართო სპექტრს: ადამიანის უფლებებს, მინიმალურ ხელფასს, დასაქმების პოლიტიკას და ამ პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის პრინციპის აუცილებელ გათვალისწინებას.

**"კონვენცია განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ"** –იგი ხელს უწყობს ქალებისა და გოგონების განათლების თანაბარ შესაძლებლობებს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

**"კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ"** -კონვენცია ითვალისწინებს ქალთა თანაბარ უფლებებს ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს განათლება, დასაქმება, ჯანდაცვა, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა თუ ქორწინება.

**ვენის დეკლარაცია** - ამ დეკლარაციის მიხედვით ქალისა და გოგონების უფლებები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილია და მოითხოვს გენდერზე დაფუძნებული ძალადობის აღმოფხვრას, რაც გულისხმობს აუცილებელი ღონისძიებების ჩატარებას ქალის პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ძალადობის აღმოსაფხვრელად. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ შეიარაღებულ კონფლიქტებში ქალის უფლებების დარღვევა ადამიანთა უფლებების ძირითადი პრინციპების დარღვევის ტოლფასია.